



# ნ ი ა ნ ბ ი

№ 18 თბილისი საქბეგბარი 1951 წ.  
 გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXVIII ფასი 2 მან.


ნახ. ა. ბანძელაძისა

საშუალო ანერგიული დაშინებული და დაბეჩვებულია,  
 მას საკუთარი ჩრდილისაც ეშინია. „პრავდა“

- დალახვროს უფალმა, ჩემივე ჩრდილი პოლისმენად მომეჩვენა!..
- მერე და რაა, ჯონ, შენ ხომ მხოლოდ ჩვენს კონსტიტუციას მიკითხავდი..
- შეუძლიათ დაგვაბრალონ, რომ სიტყვის საქმით განაღდებას მოვითხოვთ.

საბჭოთავი კომუნისტი

# მოქალაქე მეზავრები, არ ჩამორჩეთ მაქარებელს!



ბიკ დარბიან და ეძებენ № 7 ვაგონს და არა მარტო № 7-ს, არამედ № 2-საც...

თურმე ეს ორი ვაგონი რაღაც მიზეზების გამო მატარებლის შემადგენლობიდან მოუხსნიათ, ხოლო ბილეთები კი გაუქცილდათ.

„მოხევის ქალო თინაო“—მღერის რადიო.

მოხევის ქალი კი აგერ პერონზე დარბის ორი ჩემოდნით ხელში და ეძებს № 2 ვაგონს.

„შენი ტოლები გათხოვდნენ“—აგრძელებს რადიო.

მისი ტოლები გათხოვდნენ თუ არა, ეს არ ვიცი, მაგრამ პერონზე არ სჩანან, ეტყობათ სხვა მატარებლით უშველეს თავს.

ვილაცამ დაიძახა:

— აგერ უფროსი!

თვალის დახამხამებზე შემოვხევიეთ გარს მატარებლის უფროსს, რომელიც სიბნელით სარგებლობდა და მოხერხებულად იმალებოდა.

— მე რა ვქნა, მე რა დამნაშავე ვარ, მე რა შემძლია!—სხაპასხუპით ისროდა ამ სიტყვებს მატარებლის უფროსი.

— მატარებელი დაიძრა!—იყვირა ვილაცამ.

— ნულარ აყოვნებთ!— გვირჩია მატარებლის უფროსმა, — შედით საერთო ვაგონებში და გზაში მოგინახავთ ადგილებს.

მე მყისვე მივევარდი № 9 ვაგონთან. მომაწვა ზღვა ხალხი და ერთ წამში გავეჩხირე კარში... შემდეგ ვილაცამ ჩემოდანი ზურგზე მომადგა, მკრა წიხლი და შემავლო ვაგონში...

დაიძრა მატარებელი! დაიძრა და კი არ წავიყვანა, არამედ წავგილო როგორც უხეირო ბარგი-ბარხანა.

თუ რა ბოღმა იქნებოდა ჩვენს გულში, წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა.

ჩვენ მხოლოდ გვიკვირს: რატომ არ შეიძლება, რომ რადიოს „მოხევის ქალის“ სიმღერის ნაცვლად ნახევარი საათით აღრე გადმოეცა, მაგალითად, ასეთი რამ:

— „მოქალაქე მეზავრებო! მატარებელი თბილისი-ბათუმი გადის მე-3 ლიანდაგიდან თავის დროზე, მაგრამ თავის ადგილზე აღარ არიან № 2 და № 7 ვაგონები, არ არიან თავიანთ ადგილებზე აგრეთვე თბილისის სადგურის ზოგიერთი მუშაკები...“

საერთოდ რატომ ხდება, რომ სადგურ თბილისის პერონზე საერთო ვაგონებში შესვლა შეუძლებელია, თუ არ გაქვთ მაგარი წიხლი და მაგარი მუშპი?

რადიო გვაფრთხილებს: „მოქალაქე მეზავრებო, არ ჩამორჩეთ მატარებელს!“

— როგორ არ ჩამორჩეთ!— ეუბასხებ რადიოს, — როგორ არ ჩამორჩეთ მატარებელს, როცა ჩვენი ვაგონი თვითონ ჩამორჩენილია და თავიანთ თავთან ერთად ისეთ ჩიხში ჩააყენეს ეს პატივეკმულმა რკინაგზელებმა, რომ დღესაც ვერ მოგვიძებნია...  
**გ. ლიპაძე**

## ნიანგის მინაწერი

ეს არის საოცარი ამბავი ადამიანის აბუჩად აგდებისა...  
ნება ვვიბოძებთ თავიდან გვიამბოთ ყოველივე.

15 სექტემბერს თბილისიდან ბათუმში უნდა წავსულიყავი. დიდი გაქირვებით ვიშოვნე ერთი პლაცკარტიანი ბილეთი და შივაშურე სადგურს. მატარებელი იდგა მე-3 ლიანდაგზე.

ოდნავ განათებულ პერონზე ადამიანი ადამიანს, ჩემოდანი ჩემოდანს და ხურჯინი ხურჯინს ეჯახებოდა...

სანამ მატარებელი გავიდოდა, ვიწყე სეირნობა ჩემი პატარა ჩემოდნით. ჩემს თვალწინ გადაიშალა საკვირველი სანახაობა:

მეზავრები ჯგუფ-ჯგუფად შესეოდნენ ვაგონებს, ისმოდა მამაკაცების ყინინა. ქალების შეკვივლება, ბავშვების ტირილი და ჩემოდნების ჩახაჩუხი.

არსად სჩანდა არც მატარებლის უფროსი და არც რომელიმე პასუხისმგებელი თანამშრომელი, ხოლო რადიორუბრიკიდან განუწყვეტლივ ისმოდა რომელიღაც უღარდელი სიმღერა, დროგამოშვებით სიმღერა შეწყდებოდა და რადიო იწყებდა ქუჩის დარღვებას: „არ დაანავიანოთ, არ იხმაუროთ, არ ჩამორჩეთ მატარებელს!“

ბათუმის მატარებელთან კი ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული. აწებოდნენ ვაგონებს ისეთი თავგამეტებით, თითქოს სურდათ მატარებლის გადაბრუნება.

— რა მოუთმენლობაა, რა უხეშობა!— ვფიქრობ მე ჩემს გუნებაში, — მაგრამ რა კარგია, რომ მე პლაცკარტიანი ვაგონის ბილეთი მაქვს, როცა მინდა შევალ, როცა მინდა გამოვალ.

სააას დავხედე, 5 წუთი უკლდა მატარებლის გასვლას. ამოვიღე ბილეთი. წავიკითხე „ვაგონი № 7, ადგილი № 16“. ვეძებ ჩემს ვაგონს.

რამდენჯერმე ავუარე და ჩამოვუარე მატარებლის მთელ შემადგენლობას, მაგრამ ვაგონი № 7 ვერ აღმოვაჩინე.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ეს როგორ შეიძლება!— ვთქვი და ერთხელ კიდევ ჩქარი მარშით ჩავიბრინე პირველი ვაგონიდან ბოლო ვაგონამდე... მაგრამ № 7 ვაგონი მაინც არსად სჩანდა.

— „მატარებელი თბილისი-ბათუმი გავა 2 წუთის შემდეგ“— ის მის რადიოს ხმა.

ვაიმე, ვიღუპები! ამ დროს ვხედავ, რომ ჩემსავით სხვა მეზავრე-

ზემოაღწერილი უწყსრიგობის შესახებ „ნიანგა“ ესაუბრა ზოგიერთ ამხანაგს (კონკრეტული დამნაშავეის აღმოჩენის მიზნით).

ვაგონის უფროსმა ამხ. ტ. ხანიკაძემ, აი, რა განაცხადა: სამეზავრო განყოფილებამ ორი ვაგონის მოხსნის შესახებ გვაცნობა 19 საათზე (გთხოვთ შეამოწმეთ ჩანაწერი), ესე იგი გვაცნობა სწორედ მაშინ, როცა მატარებელში ჩასხდომა უკვე დაწყებული იყო და მეზავრებს ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ გამართული... ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო წესრიგის დამყარება.

— თქვენ მართალი ხართ! — თქვა „ნიანგმა“ და ეწვია სამეზავრო განყოფილების უფროსს ამხ. კ. პაიჭაძეს, რომელმაც ტკბილი ქართულით აი რა თქვა:— 15 სექტემბერს ბათუმის მატარებელი მოვიდა დაგვიანებით ორი ვაგონი დაზიანებული აღმოჩნდა და მოვსენით, რის გამოც შეეკვთა მივეციო სადგურს მიება მატარებლისთვის სამაგიერო ვაგონები № 602 და 635. სხვა რა შეგვეძლო?

— თქვენც მართალი ხართ! — თქვა „ნიანგმა“ და ეწვია სავაგონო უბნის უფროსს ამხ. ა. შორჩაძეს, რომელმაც კიდევ უფრო ტკბილი ქართულით აი რა მოგვასხენა:

— მე მეწება მხოლოდ დაზიანებული ვაგონების შეკეთება და ამ საქმეს კარგადაც ვასრულებ. ჯანსაღი ვაგონები სამეზავრო განყოფილებისა და სადგურის განკარგულებაშია. სამაგიერო ვაგონები უნდა მიებათ სადგურის მუშაკებს. ჩვენ რა შუაში ვართ?

— თქვენც მართალი ხართ! — თქვა „ნიანგმა“ და მივიდა სადგურის უფროსთან ამხ. დ. ასათიანთან.

— დიას, დიას, — თქვა ამხ. ასათიანმა. — ჩვენ უნდა მივეება სამაგიერო ვაგონები, მაგრამ უნდა მიება უშუალოდ მორიგე დისპეტჩერს...

— თქვენც მართალი ხართ — თქვა „ნიანგმა“ და მიაკითხა მორიგე დისპეტჩერს ამხ. ი. შარაშიძეს, რომელმაც აი რა ჩავიბრუნებულა:

— მე ჩამიწერეს, რომ უნდა მიება ბათუმის მატარებლისთვის მოხსნილი ვაგონების სამაგიერო ორი ვაგონი № 602 და 635, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს გვაცნობეს გვიან და, მეორეც, აღნიშნული ვაგონები სადგურის ტერიტორიაზე არ აღმოჩნდა. აი, გადახედეთ ვაგონების სიტუაციის წიგნს!

„ნიანგმა“ გადახედა სიტუაციის წიგნს, იქ ისეთ სიტუაციებს წააწყდა, რომ თვალები აუჭრელდა და თქვა:

— თქვენც მართალი ხართ!

შემდეგ „ნიანგა“ დაბრუნდა ამხ. დ. ასათიანის კაბინეტში და შეეკითხა ან უკანასკნელს:

— კი მაგრამ როგორ შეიძლება ყველა მართალი იყოს?!

— თქვენც მართალი ხართ! — თქვა ამხანაგმა ასათიანმა.

— ერიპა! — თქვა ბოლოს „ნიანგმა“, — მამ მეზავრები ყოფილან დამნაშავენი!

— არა, მეზავრები არაფერ შუაშია. — თქვა ამხანაგმა ასათიანმა, — აი, გაპყვიეთ ჩემს მოადგილეს და ერთხელ კიდევ შეამოწმეთ სამეზავრო განყოფილებაში — სად იყო შემთხვევის დღეს აღნიშნული ვაგონები.

წავედით. დავიწყეთ შემოწმება. სამეზავრო განყოფილების უფროსის მოადგილის ამხ. შავიძის კაბინეტში თავი მოიყარა 5-6 რკინაგზელმა გადაშალეს სიტუაციების წიგნები, შეიქნა შეხლა-შემოსლა. დაებნა დაგთარი „ნიანგს“.

— თქვენც მართალი ხართ, თქვენც მართალი ხართ, ყველანი მართალი ხართ... გამიშვით! — მიაყარა ეს სიტყვები ამხანაგ რკინაგზელებს და გამოიქცა, მას უკან მოსდევდნენ სიტუაციის წიგნებით ხელში.

„ნიანგმა“ მოასწრო ქუჩაში გასვლა, მოახტა ტრამვაის და გადასწყვიტა გამოაქვეყნოს ზემოაღნიშნული ამბავი თავის ფურცლებზე.

დაე, ამხანაგმა რკინაგზელებმა თვითონვე გამოარკვიონ ვინ არის დამნაშავე.

ჩვენც მართალი ვართ!





— ყოჩაღ, საგანი კარგად გცოდნიათ, მაგრამ უპატრონო ბავშვთა სახლიდან ხომ არა ხართ, რომ არავინ მოგყვით საპროტექციოდ!

### საპატრიოტო ინსპექტორი

მანგლისიდან თბილისისკენ მომავალი ავტობუსმა ერთი ჩაბუქნა და ფშვითიანად გაჩერდა ადგილზე. შოფერმა სამძიმრის კილოთი მოგვმართა, ერთ საათს ვეღარ წავიდლო, და მგზავრთა შორის მაშინვე იმაზე ჩამოვარდა და ლაპარაკი, თუ რომელ შოფერს, რა დროს როგორი „პატივი ეცა“ თითოეული მათგანისათვის.

ავტობუსში კი, ამჯერად, უპატივემლო შოფერებზე ლაპარაკი ერთმა მოხუცმა ქალმა შეცვალა:

— უნესლობა ყველასი მძულს, გეთაყვა, ვინც არ უნდა იყოს. ამას წინათ ერთ შოფერს ისეთი დღე დაუთენე, ენა ჩავაგდებინე. ბავშვიანი ქალი არ ჩაისვია—ადგილი არა მაქვსო... კარგად რომ გავუსვი ხელი და შეშინდა, ბოდიში მომიხადა, მეტს აღარ ვიზამო.

მგზავრებმა ძალაუნებურად ცქვიტეს ყურები, რადგან ამ მოხუცს ისეთი არაფერი ემჩნეოდა, რომ შოფერი შეეშინებინა.

— ზრდილობა, ჩემო ბატონო, ყველაზე მთავარია ადამიანისათვის.

— განაგრძო მოხუცმა. — გასულ კვირას რუსთავეში გახდით. სადგურში გადავდიე ეს მოხუცი ქალი, აქეთ-იქით ვიყურები, არავინ დამიხვდა. გამიჭირდა, მაგრამ მაინც მივედი ფეხით ქარხანაში. გამოვუძახე იქაურ ინჟინერს და იცოცხლეთ, იმას დღე დაუთენე!.. სხვამ რომ არა, შენ მაინც უნდა მცე პატივი, შენ მაინც იცი ვინცა ვარ—მეთქი!

მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს და თვალებით კითხულობდნენ — ნეტავი ვინ უნდა იყოს ეს დედაბერიო.

ერთი მგზავრი კიდეცა გამოეხმაურა:

— სწორი გახლავთ, ჩემო ბატონო, ზრდილობა ყველაზე დიდი სიმდიდრეა...

— ზრდილობის გარდა კიდევ რამდენი რამ მოეთხოვება ადამიანს, — კვლავ განაგრძო მოხუცმა, — ერთი ექიმი თავის დროზე არ მოვიდა ავადმყოფთან, ჯანჯანში მიჩქარებოდაო. ავადმყოფის სიცოცხლე ხომ შეიძლება ბენჭზე ეკიდოს და ჯანჯანი კი, აბა, სად გაიქცევა! იცოცხლეთ მე ის გავრეცხე. პირობა ჩამოვართვი, რომ ასეთი რამ აღარ გავმეორებინა... ექ, ვინ იცის კიდევ რამდენ რამზე ვარ ხალხთან პასუხისმგებელი!..

მგზავრთა შორის უცებ დაიბადა თავაზიანობის გრძობა ამ მოხუცი-სადმი, ერთმა მათგანმა კვლავი ჩამოიღო მოხუცის თავთან რომ ეკიდა და თავისკენ გადაიტანა; მეორემ ჩემოდანი დაიღო მუხლებზე, იმავე მოხუცის ფეხებს რომ თავისუფლებას ართმევდა; მესამემ სიტყვიერი თანხმობა გამოხატა:

— მიყვარს ასეთი შემთხვევა, დამნაშავეს რომ უფროსი წაუსწრებს და გავიცხავს, შეაფუცხუნებს...

— როგორ დავუთმობ, დედიკო, როცა ჩვენს ქვეყანაში წესრიგი მთავარია, ერთი თვის წინათ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში გახდით.

გავიგე რომ, ერთმა საამქროს მექანიკოსმა აიხირა, გინდა რუ არა ამ თვეში უნდა გამოშვას შვებულეაშიო. ქარხანამ მანქანის გამოშვება დაიწყო, ჯერ საქმე ახლა დგება კადაპოტში და ჩვენმა ტიტიკომ კი მაინც და მაინც სექტემბერში მოინდომა ზღვის პირზე დასვენება. დავუძახე, იმდენი აგიტაცია გავუწიე, რომ შერცხვა და, თუ გინდა სულაც აღარ წავად შვებულეაშიო, მიპასუხა.

ამ საუბარს შოფერი ისმენდა. მგლომარეობას აღლო აულო და დაფაცურდა: — კანდიერებაში ნუ ჩამომართმევთო, მიმართა მან მოხუც ქალს, თუ შეიძლება ერთი წუთით ყური მათხოვოთო. მოხუცს გაუკვირდა, მაგრამ შოფერს მაინც გაჰყვა განზე...

— ეტყობა დიდი თანამდებობის პირია! — თქვა ერთმა მგზავრმა.

— რა ვიცი, უბრალოდ კი აცვია და...

— თავშალი რომ არ მაეჭვებდეს, მეც ავრე ვიფიქრებდი, მაგრამ თავშალიანი ქალი და თანამდებობა რატომღაც შეუთავსებელია...

— თქვენი არ მიკვირს! — ჩაერია მეოთხე მგზავრი, — როდის იყო, რომ თავშალი საქმის გაკეთებას უშლიდა!

ამასობაში მოხუციც მობრუნდა. იგი ნახევრად საყვედურის კილოთი და ნახევრად ჩურჩულით ამბობდა:

— ბერა, მე რა წითელი კოჭი მნახა ჩვენმა შოფერმა, ადგილი შემომთავაზა თავის გვერდით. იქ შენუხლებით, ვიწროდა ხართო. ვინროდ განა ცოტა მგზავრია, რომ მაინც მე გამომძებნა?

მოხუცის თავმდაბლობა ყველას მოეწონა და ერთმა მგზავრთაგანმა ჰკითხა:

— ბოდიშს კი ვიხდი, ჩემო ბატონო, მაგრამ ადამიანს თუ გაიცნობ, ჯობია კარგად იცნობდე. რა თანამდებობის ბრძანდებით?

— მე, გეთაყვა?

— დიახ, ჩემო ბატონო, თუ არ გეწყინებათ, თქვენი თანამდებობა მაინტერესებს.

— რვა შვილის დედა გახლავართ, დედიკო.

— მე თანამდებობას გეკითხებით...

— ბერა, ქალისთვის რვა შვილის დელობაზე უკეთესი „თანამდებობა“ რაღა უნდა იყოს! — გაიხუმრა ქალმა და გულიანად გაიცინა.

— კი მაგრამ, შოფერი დატუქსეთ, ინჟინერს გაუჭავრდით, ექიმი გარეცხეთ, მექანიკოსს უბრძანეთ, ვინ მოგცათ ყოველივე ამის უფლება!

— დელობამ, დედიკო! ჩემს შვილებს, გავუჭავრდები კი არა, ძალიან თუ გამაჭავრებს, შეიძლება დავსაჯო კიდეცა!

მგზავრთა სახეებს ღიმილი მხოლოდ მაშინ მოწყდა, როცა ავტობუსი თბილისში შემოგორდა.

გიორგი გელმანის

# ნიანგი მხურვალე მოსაძებნა ლარიშვილის მონაწილე



თქვენ. ტანწერნეტა ქალებო,  
ჩამწკრივებულნი ადევბად,  
თქვენი თაყვანისმცემელი  
ნიანგი მოგესაღმებათ!

შავუღვაშება ვაჟებო,  
ფერხულის ხმაზე, ანაზდად,  
მკლავი რომ ღალად გაშაღეთ,  
მუხლი რომ აგითამაშდათ,

მოგესაღმებათ ნიანგი,  
კვლავ თქვენი მზერით გართული,  
მიყვარს მე თქვენი სიმღერა  
და თქვენი ცეკვა ქართული!

უხვი მოსავლის ოსტატებს.  
ცეკვა-სიმღერა გიხდებათ!—  
ასე მგონია რთველში ვარ,  
ჩემ წინ რომ ფარდა იხდება...


ხორბლით სავსეა ბეღელი.  
მაჭრით სავსეა ჭურები,—  
ღოდის პურს—ღოდი უხდება,  
ნარინჯებს—კრიმანჭურები!

ღღეს ვის არ ვხედავ სცენაზე,  
ხალისით ვის არ მოველი.  
აქ ზოგი ქარხნის მუშაა  
და ზოგი მალაროელი!

რა კარგი მოსასმენი ხართ.  
რა კარგი შესახედავი,—  
ჩვენს ოპერაში მომღერად  
თქვენ დაგტოვებდნენ ნეტავი!

თუმცა კარგ გუნებაზე ვარ,  
ნუ დამშვიდდება ნურავინ,  
ეს ჩემი ბოლო სტრიქონი  
არაა ამომწურავი...

## მრავალზგოსანი ოლიმპიარაზა



ნახ. დონხა

— რა სწრაფად ცეკვავს, პირდაპირ ცეცხლს ანთებს!  
— მაგის სისწრაფე და ცეცხლის დანთება სამქროში უნდა ნახო ცერებზე რომ დგას და ხუთ საქსოვ მანქანას  
თავს დასტრიალებს!

ეროვნული  
გინაობის



ბევრი წამალიც რომ მქონდეს,  
მაინც არ მოვკლავ ტორილას,—  
მე მხოლოდ გასალიმებლად  
ჯბილს გავკრავ თითო-ორილას.

თქვენივე თვალთ: დახედეთ  
ამ უცხო ღორღოტოტებს,  
ჭაბუკთა შემოქმედების  
შთაბეჭდილებას თუ სტოვებს!..

რა მოუვიდათ, რა-მობდა,  
აგრე რად იმანჭებიან?!  
პარიზელობა თუ უნდათ,  
თბილისში ნუ დარჩებიან!



მედიცინელთა ოინით  
როგორ არ უნდა ვიცინოთ,  
დაქირავებუდ ორკესტრით  
საქმეს ჰქმნით სამედიცინოთ!

ო, მედიცინის მუშაკთა  
ორკესტრის დიდო მანსტრო,  
თქვენს კონცერტს ერთხედ გავუძედ,  
მეორედ არ მსურს დავესწრო!

სხვაფრივ კი კარგად იყავით,  
გული ნუ მოგენამდებათ,  
თქვენს ჭაბურ ორკესტრს თუ შესცვლით—  
ნიანგიც მოგესადმებათ...

გოგოთუა მიზანიაული

# კატონი იმედები



საქართველო  
საბჭოთა კავშირი

რვა აგვისტოსაც პაპანაქება იყო. ვენტილატორი ამოდ ებრძოდა კა-  
ბინეტში დამდგარ ბუღს, ხოლო ქუჩაში ალმური ტრიალებდა.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრაქტიკის  
უდიდეს საქმეთა გამომძიებელს გიორგი ექვთიმიშვილს სახეზე სიამოვნების  
ღიმილი აღებებდა, როცა მივლინების ბრძანება ჩაიდო ჯიბეში.

მან ბილეთისთვის ქალაქის სადგურს მიაშურა. იქაც ბული იდგა, სა-  
ლაროებს შუბლზე ხვითქადამდინარი ხალხი აწყდებოდა.

— არა, ძმაო, ამ კაპანაქეებს ისე გაფრენა მირჩევნია! ჩაჯვლები  
თვითმფრინავში და 45 წუთში უკვე ადგილზე ვარ!— ჩაილაპარაკა მის ყურ-  
თან ვიღაცამ.— ორმოცდახუთ წუთში... მართლაც და რა საჭიროა წნორამდე  
7 საათს მატარებლით მგზავრობა, როცა აგერა გვაქვს აეროდრომი?

ამ ტკბილი სიტყვების მოქმედისკენ მიიხედა ექვთიმიშვილმა და თა-  
ვისი მეგობარი დაინახა. ეს იყო საკავშირო ფინანსთა სამინისტროს საკონ-  
ტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი კონტროლიორ-რევიზორი გრი-  
გოლ დვალისვილი. ისიც წნორში მიდიოდა.

მეგობრებმა გაფრენა გადაწყვიტეს და 11 საათზე საპაერო ფლოტის  
თბილისის სადგურს მიადგინენ.

— შეგვიძლია ვაგაფრინოთ, მაგრამ ცოტა გვაკლებს, აეროდრომის  
უფროსის ნებართვა საჭიროა, — გადმოსძახეს მათ პატარა სარკმლიდან. 4  
საათის ლოდინის შემდეგ, ხელახლა გადმოსძახეს მათ:

— თქვენი საქმე გადაწყვეტილია, ვაგაფრენთ, მაგრამ... ხვალ 12 საათზე  
მობრძანდით.

მაშასადამე, ლოდინში მივლინების ერთი დღე გავიდა.

9 აგვისტოს ნახევარი საათით ადრე მიაკითხეს საპაერო ფლოტის სა-  
ქალაქო სადგურს, საიდანაც აეროდრომზე გადაჰყავთ მგზავრები.

და სანამ სადგურისა და აეროდრომის უფროსებს შორის კვლავ ტე-  
ლეფონით მოლაპარაკება გამართებოდა, ექვთიმიშვილი და დვალისვილი  
გულმოდგინედ კითხულობდნენ სადგურის კედლებზე გაკრულ პლაკატებს,  
რომლებიც ურჩევენ მოქალაქეთ ისარგებლონ სამოქალაქო ავიაციით, იფ-  
რინონ, დრო მოიგონ, შეუფერხებელი მგზავრობის სიამოვნება იგემონ და  
სხვა.

ამასობაში პატარა სარკმლიდან მათ კვლავ შემოესმათ:

— იცით რა, „გოლუბჩიკებო“, გაფრენა ათ აგვისტომდე ვერ მოგი-  
ხერხდებათ. აეროდრომის უფროსის უფროსს ასე სურს!

მაშასადამე, მივლინების მეორე დღეც ლოდინს ეწირებოდა. ახირებუ-  
ლია: ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სამოქალაქო საპაერო ფლოტით, გვანცვიფრებს  
მისი უმაგალითო ტექნიკა, და, ამავე დროს, ზოგიერთი მუშაის წყალობით,  
მგზავრებისადმი ძველებური, „დღიენური“ მომსახურება! უფრო მეტიც—  
უსულგულობა.

მივლინებულთა სამართლიანმა საყვედურმა სადგურის უფროსის ყუ-  
რამდე მიადგია. იგი კვლავ შეეცადა და, როგორც იყო, მოაღბო აერო-  
დრომის უფროსის გული.

ორი მეგობარი კვლავ აეროდრომს მიადგა. აქ მხოლოდ „რალაც ხუ-  
თიოდ“ საათს ალოდინეს და, როგორც იქნა, 18 საათზე უკვე მალდიდან  
დახედეს ისციხის ბულში გახვეულ თბილისს.

— რას იტყვით, გიორგი, ა? მართალია, მატარებლით მხოლოდ შვიდ  
საათს ვივლით გუშინ, შემდეგ ერთ საათს მანქანით ვივლით და  
გუშინვე ადგილზე ვიქნებოდით, მაგრამ...

— მართალია, გრიგოლ, მხოლოდ 30 საათი წვალება დაგვიქირდა, —  
შეაწყვეტინა ექვთიმიშვილს დვალისვილმა, — მაგრამ ამას რა ჯობს, ა?..

— ჰოდა მეც იმას ვამბობ, იქიდანაც გამოვფრინდები...

— მეც გამოვფრინდები, მაშა! იქიდან ხომ ადვილია, იქიდან თვით-  
მფრინავები პირდაპირ ჩვენს განკარგულებაში იქნება.

მაგრამ დიალოგი არცკი ჰქონდათ დამთავრებული, რომ უკვე დანიშ-  
ნულების ადგილზე იყვნენ. ძირს დაეშვნენ და ამაყად გადმოვიდნენ მანქანის  
მოლოდინში.

— რატომ თბილისიდანვე არ გვაცნობთ, თუ მანქანა გინდოდათ? — უთ-  
ხრა მათ აეროდრომის უფროსმა თაბაგარმა.

— კი მაგრამ, ეს ხომ საეაღლებულია, წესია...  
— წესი, გეთყვება, მოსკოვშია, თბილისშია, და, საერთოდ, დედაქალა-  
ქებში, აქ შინაური ხალხი ვართ. მანქანა სხვა დროს იყოს, ახლა კი ფეხით  
გაუყვით!

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ჩაფრენილი მეგობრები ფეხით მიად-  
გნენ სამუშაო ადგილს და უმალ საქმეებს შეუდგნენ: გამომძიებელმა გამო-  
იძია, რევიზორმა — რევიზია გააკეთა, მაგრამ ეს არ ეხებოდა ჩვენს მიერ და-  
სახელებული მუშაკების უსულგულობას. არც ის იცოდნენ, რომ უარესი ხვედრი  
წინ მოელოდათ!

ორი დღის შემდეგ დვალისვილი წნორს გაემგზავრა და ექვთიმიშვილს  
შეუთახნდა:

19 აგვისტოს წნორში დაგზვდები და თბილისში ერთად გაფრინდითო.  
აეროდრომის უფროსს, თაბაგარს არაფერი უთქვამს, მან გაპარულ  
ულვაშებში მხოლოდ ჩაიღიმა.

გათენდა 19 აგვისტო. გათენდა და დაიწყო ორივე მივლინებული მუ-  
შაკის... არ ვიცით რა ვუწოდოთ მას, რაც დაიწყო, წამება თუ აბუჩად აგ-  
დება? ჩვენის აზრით, ორივე ერთად: ექვთიმიშვილისა — იმ პატარა ქალაქის,  
ხოლო დვალისვილისა — წნორის აეროდრომზე.

დვალისვილმა დილის 8 საათზე სპეციალურად მიაკითხა წნორის აერო-  
დრომის აღმინისტრაციას:

— დღეს ხომ არაფერი დაბრკოლებს ჩემს გაფრენასო?  
— არაფერი. სრულ 12 საათზე ვაგაფრენთო, — უპასუხეს.

ასეც მოიქცა: საათნახევრის ლოდინის შემდეგ მართლაც მოფრინდა  
ორადგილიანი მანქანა, ორივე კილოგრამი ტვირთი დასტოვა და კვლავ  
ჰაერში გასრიალდა. „ალბათ ექვთიმიშვილის ჩამოსაყვანად გაფრინდა“, —  
გაივლო გულში დვალისვილმა, — რა გულისხმეობა, რა პუნქტულობა!  
აი, მესმის მგზავრებზე ზრუნვა...  
მაგრამ გულაჩუქებულ დვალისვილს დამბაჩასავით დაახალეს ახალი „გან-  
მარტება“:

— კიდევ ორი საათიც ცდა დაგვირდება!  
— რატომ?

— ეს მფრინავი გამოუცდელია და შენს თავს ვერ ვანდობთ!  
ორი საათი გავიდა. სამიც თან მიჰყვა და აეროდრომზე ახალი მანქანა  
დაეშვა. დვალისვილი მოეშადა.

— მალე ჩავსხდებით? — ჰკითხა მან აეროდრომის უფროსს.

— არც მალე და არც გვიან! მფრინავი მოშაშვილი აცხადებს, რომ ის  
სანიტარული დანიშნულებით მოფრინდა. შენ რა გჭირს სასანიტარო?

— რა დროს ხუმრობაა? — შენიშნა დვალისვილმა, — მთელ დღეს ლო-  
დინში მაკარგვინებთ, ეს როგორ შეიძლება?

უფროსი განცვიფრდა და უხამსად მიუგო:

— რა გავლევებს, მოქალაქე? გუშინ ერთი მგზავრი აქ მთელ დღეს  
ელოდა თვითმფრინავს და საღამოს დამშვიდებით გაჰყვა წნორის მატარე-  
ბელს.

— მანქანა მინც მომეცით, რომ მატარებელს მივუსწრო!

დვალისვილის ამ „ახირებულ“ მოთხოვნაზე უფროსმა გაიცინა, ხოლო  
მისმა მოადგილემ ბორბლებზე მოკვეთილ სატვირთო მანქანაზე მიუთითა:

— აი, ჩვენი მანქანა! გუშინ სათვეზაოდ ვიყავით, გზაში გაგვიფუჭდა და  
ბუქსირით ძლივს ამოვათრეთო.

თქვენ, ალბათ, წარმოიდგენთ, თუ რა ხასიათზე დადგებოდა დვალისვილი,  
მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოიდგენთ, რომ სწორედ იმ დღეს  
და იმავე საათებში დვალისვილზე უარესი ექვთიმიშვილს გადახდა იმ პატა-  
რა ქალაქის აეროდრომზე, რომლის უფროსიც თაბაგარი გახლავთ.

იქაც ადრევე ვაგაფრთხილეს თაბაგარი, იქაც დაპირება და შემდეგ ბი-  
ლეთიც კი მიიღო ექვთიმიშვილმა და ის-ის იყო აეროდრომზე გამოცხადდა,  
რომ ცხენრასან კაცს შეეფთა. თურმე ეს ცხენოსანი ექვთიმიშვილის მოსა-  
ძებნად მბლიოდა.

— ჩამოდი ცხენიდან, მგზავრის ძებნა აღარაა საჭირო, ის თავისი ფე-  
ხით მოვიდაო, — უბრძანა ცხენოსანს თაბაგარმა. ასეთი გულისხმიერებით  
აღფრთოვანებულმა ექვთიმიშვილმა თვითმფრინავის პირველ საფეხურზე  
უკვე შედგა ფეხი, როცა მას თაბაგარი ვეფხვივით დააცხრა და ბილეთი ხე-  
ლიდან გამოვლოჯა.

— რას შვრებით? — იკითხა ექვთიმიშვილმა.

— თქვენი საქმე წახდა; აი, ეს მოქალაქე უნდა წავიდეს, — მიუგო თა-  
ბაგარმა და მიუთითა ვიღაც სპეკულანტის ტიპის ჩაჩმოდნებულ ჩასუქე-  
ბულ მოქალაქეზე.


ექვთიმიშვილის ბილეთი მან მოწიწებით მიართვა იმ ჩასუქებულს და  
თან დაამშვიდა: ფიქრი ნუ გაქვთ, დანარჩენ ყუთებსაც დღეს-ხვალ გამოგი-  
გზავნიოთ.

თურმე ნუ იტყვით, ის ხილის შემყიდველი იყო და, რომ აეცილებინა  
მისთვის მილიციის მუშაკების მიერ ნებართვის მოთხოვნის „უსიამოვნება“,  
თაბაგარმა სხვისი ბილეთით გამოისტუმრა თბილისისაკენ.

მაგრამ წერტილი. ზემოდასახელებულ მუშაკებს, ალბათ, „ქვეყნის დაქ-  
ცევად“ არ მიაჩნიათ ზემოაღწერილ შემთხვევები. ეს რომ მათი მუშაობის  
სტილი არ იყოს, უხერხულობას მინც იგრძნობდნენ ასეთი უსულგულობი-  
სათვის, მგზავრების ასე აბუჩად აგდებისათვის. იგრძნობდნენ, რომ ისინი  
არც თავისი მოწოდების სიმალღებზე არიან და არც თავის ადგილზე.

ფიქრობთ, რომ ჩვენს მოსაზრებას სავსებით გააზიარებს სამოქალაქო  
საპაერო ფლოტის სამმართველოს უფროსიც.

შახსადანი



### ბათუმში

თუ მოინდომა,  
 გუდი თუ ერჩის,  
 ზღვას გადასცურავს  
 კაცი გმირულად!  
 ამ კაცს კი აბა,  
 რა ეშველება?—  
 ხედავთ? წვიმს მართლაც  
 კოკისპირულად.

მ. მ.



ნან. გ. ფირცხალავასი

### ერთი აგვის სამი სურათი



— ჭიქა რატომ არ ამივხე,  
 ას გრამს რატომ დააკელი?  
 (თქვა და ოქმის შესადგენად  
 პორტფელშიაც ჩაჰყო ხელი.)

— ერთს კი არა, ხუთს ავაფხე,  
 არ გამომჭრა კალმით ყელი!  
 (რიხით იცნო ინსპექტორი,  
 თქვა: — უთუოდ მოხსნეს ძველი.)

— თუ კაცი ხარ, არ ამივხო,  
 ას გრამს მაინც დააკელი!  
 (ახლა უკვე ეხვეწება  
 ხუთი ჭიქის გამომცდელი!)  
 დელი-ოდლიაგამ

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,  
 ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 16/X. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 2416. გამოც. № 18 ტირ. 15.000. უფ05340

